*დანართი*

# ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის“ კომპონენტის ფარგლებში დაფინანსების გაცემის წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო), სტუდენტური, პრესტუდენტური სერვისების, კვლევის, ანალიტიკისა და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის, სტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის (შემდგომში - კომპონენტი) ფარგლებში დაფინანსების გაცემის წესსა და პირობებს, მათ შორის განაცხადების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ მათზე გადაწყვეტილების მიღების წესს, განაცხადების შეფასების კრიტერიუმებსა და კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ა) **განმცხადებელი** - ამ წესის შესაბამისად დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება, რომელიც დაფინანსების მიღების მიზნით წარმოადგენს განაცხადს სააგენტოში;

ბ) **პარტნიორი ორგანიზაცია** - ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც ჩაერთვება განმცხადებლის მიერ ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა-განვითარებაში, შეიძლება ამავდროულად იყოს განაცხადით გათვალისწინებული აქტივობების თანადამფინანსებელი და რომელთანაც განმცხადებელს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;

გ) **განაცხადი/პროექტი** - ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული განაცხადის ფორმის შესაბამისად სააგენტოში წარმოდგენილი განაცხადი/პროექტი, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს დაფინანსებას ექსტრაკურიკულური აქტივობების საქმიანობის დანერგვა-განვითარებისთვის;

დ) **ექსტრაკურიკულური აქტივობა** - აქტივობა, რომელიც მოიცავს სოციალური, კულტურული ან პროფესიული ხასიათის ღონისძიებებს და ტარდება სასწავლო გეგმის ძირითადი საგნობრივი მოდულების მიღმა, ის ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ, პროფესიულ ან/და სოციალურ განვითარებას. ასევე, აქტივობა ავითარებს საკვანძო კომპეტენციებს, რომელიც საჭიროა შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი სწრაფი ადაპტირებისთვის.

ე) **სამიზნე ჯგუფი** - სავალდებულოა პროფესიული სტუდენტი და თემში არსებული საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლე. სასურველია, შესაბამის თემში მცხოვრები ნებისმიერი პირი.

## მუხლი 3. დაფინანსების გაცემის მიზნები

ამ წესის შესაბამისად სააგენტოს მიერ დაფინანსების გაცემის მიზანია:

ა) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების მხარდაჭერა ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა/განვითარების გზით;

ბ) პროფესიულ განათლებაში არაფორმალური განათლებისა და სტუდენტური სერვისების განვითარება;

გ)	პროფესიული განათლების პოპულარიზაცია სკოლის მოსწავლეებსა და თემის სხვა წევრებში;
დ) სტუდენტებში საკვანძო კომპეტენციების განვითარება და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
ე) ინკლუზიური და უსაფრთხო გარემოს ფორმირების გზით, სასწავლო გარემოში სტუდენტების ინტეგრაცია;
ვ) პროფესიულ სტუდენტების პიროვნული და კარიერული განვითარება, მათი სოციალურ და შემოქმედებით აქტივობებში ჩართვა.

**მუხლი 4. განაცხადის მიღების ვადები და განმცხადებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია**

1. სააგენტოში განაცხადების მიღება განხორციელდება 2025 წლის 5 ივნისიდან 11 ივლისის ჩათვლით.
2. დაფინანსების მოპოვების მიზნით, განმცხადებელი სააგენტოში წარადგენს:
ა) განაცხადს, ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული ფორმით;
ბ) პარტნიორთან გაფორმებულ მემორანდუმს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
გ) განაცხადის/პროექტის დეტალური ბიუჯეტის ფორმას დანართი N2-ის შესაბამისად;
დ) ბაზრის კვლევის ამსახველი ინფორმაცია (შესაბამის საქონელთან ან/და მომსახურებასთან დაკავშირებით არანაკლებ 3 კომპანიისგან მიღებული ინვოისი) ნებისმიერი საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებლების მინიმალური რაოდენობის გამოკითხვის შეუძლებლობის შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს ბაზრის კვლევაში მინიმუმ სამი პრეტენდენტის მონაწილეობის შემაფერხებელი გარემოებები.
ე) შერჩეული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მონაცემებს, ამ წესის დანართი N1-ის შესაბამისად.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევით სააგენტოში წარმოდგენილი განაცხადი, ბიუჯეტი და სხვა საფინანსო დოკუმენტაცია არ განიხილება.

**მუხლი 5. მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია**

1. სააგენტოდან მოთხოვნილი ერთი განაცხადისთვის გათვალისწინებული ხარჯების ჯამური მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს. ბიუჯეტში დაუშვებელია გაუთვალისწინებელი ხარჯების მოთხოვნა.
2. ერთი განაცხადის ფარგლებში მოთხოვნილი ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი განაცხადის ფარგლებში მოთხოვნილი ჯამური თანხის 20%-ს.
3. სააგენტოდან შრომის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი პოზიციების სამუშაო აღწერილობები და მათი შრომის ანაზღაურების მოცულობა დაასაბუთოს შესასრულებელი სამუშაოს ჭრილში.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების ჯამური მაქსიმალური ოდენობიდან და მე-2 პუნქტიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია ობიექტური გარემოების არსებობისას, განმცხადებლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, კომისიის გადაწყვეტილებით.
5. კორექტირებული ბიუჯეტის წარმოდგენისას დაუშვებელია პროექტში ჩართული ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსის ველში მითითებული პოზიციების ცვლილება, ასევე დაუშვებელია პროექტში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის და პროექტში ჩართული სხვა ადამიანური რესურსის ჯამური შრომის ანაზღაურების გაზრდა.

6. განაცხადში და თანდართულ დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

**მუხლი 6. გადაწყვეტილების მიღების ეტაპები:**

დაფინანსების გაცემის მიზნით სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება ხდება ორ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპზე ფასდება განმცხადებლის მიერ სააგენტოში წარდგენილი განაცხადის შინაარსობრივი მხარე და ტექნიკური შესაბამისობა მოცემული წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან და მოთხოვნებთან მიმართებით ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად;

ბ) მეორე ეტაპზე კორექტირებული განაცხადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტის დეტალური ბიუჯეტი ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

**მუხლი 7. განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმები**

1. განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ამ წესის N1 ფორმით განსაზღვრული განაცხადის ფორმა სრულყოფილადაა შევსებული და წარმოდგენილია სხვა დამატებითი დოკუმენტაცია;

ბ) პროექტის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და პასუხობს ქვეპროგრამის კომპონენტის მიზნებს;

გ) მკაფიოდაა წარმოდგენილი მიზნის მიღწევის კონკრეტული გზები და მისი შეფასების მეთოდები;

დ) ცხადად იკვეთება პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობის მიზნები და როლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) მკაფიოდაა განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ხოლო განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, თემის სხვა წარმომადგენლის ჩართულობის ფორმა;

ვ) პროექტში წარმოდგენილია თემის/სტუდენტების საჭიროებების ანალიზი და მას ეფუძნება პროექტის შინაარსობრივი მხარე;

ზ) პროექტი წარმოადგენს ინოვაციურ იდეას და მოიცავს შემოქმედებით მეთოდებს სტუდენტების სწავლების პროცესში;

თ) პროექტის განხორციელება ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპს, მასში ჩართულობა შეუძლია ნებისმიერი შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე პირს;

ი) პროექტი ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების მდგრადად გამოყენებას;

კ) პროექტი ხელს უწყობს სამიზნე ჯგუფში საკვანძო კომპეტენცი(ებ)ის განვითარებას;

ლ) პროექტი ხელს უწყობს მონაწილეების პროფესიულ/სამუშაო კომპეტენციების განვითარებას;

მ) განაცხადში ნათლად არის აღწერილი გამოცდილებისა და ცოდნის გადაცემის მოდელი;

ნ) პროექტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა-განვითარებას და მიმართულია მხოლოდ მისი განხორციელების საჭიროებებზე;

ო) პროექტის ხანგრძლივობა წარმოადგენს მინიმუმ 2 თვეს;

პ) სრულყოფილადაა წარმოდგენილი ბიუჯეტი და სხვა ფინანსური დოკუმენტები;

ჟ) პროექტი ხარჯეფექტურია:

- პროექტის ბიუჯეტი შესაბამისობაშია პროექტის მოსალოდნელ შედეგებთან (მონაწილეთა რაოდენობა, ღონისძიებების/აქტივობების მასშტაბი)
- ბიუჯეტში მოცემული რესურსები პირდაპირ უკავშირდება პროექტის მიზნებსა და აქტივობებს;
- ადამიანური რესურსების (ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის) რაოდენობა და შრომის ანაზღაურება თანხვედრაშია მათი პასუხისმგებლობასთან, სამუშაო დატვირთვასთან და პროექტის მიზნებთან;
- პროექტის განაცხადის ფორმით მოთხოვნილი რესურსები (აღჭურვილობა, მასალები) შესაბამისობაშია პროექტის მიზნებთან და შესაძლებელია გამოიყენოს პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სხვა საგანმანათლებლო ან ექსტრაკურიკულური აქტივობების პროცესში;

რ) სააგენტოდან მოთხოვნილი ფინანსური რესურსი დასაბუთებულია.

2. თუ პროექტი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, პროექტი აღარ ფასდება ამ მუხლის პირველი პუნქტის სხვა ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კრიტერიუმებით და კომისია იღებს უარყოფით გადაწყვეტილებას, რაც გამორიცხავს პროექტის მეორე ეტაპზე განხილვის გაგრძელებას.

**მუხლი 8. განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის პირველ ეტაპზე შეფასება**

1. კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმებას ამ წესის მე-5 და მე-7 მუხლების მოთხოვნებთან.

2. კომისიის სამდივნოს მიერ განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის ამ წესის მე-5 და მე-7 მუხლებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების საფუძველზე, კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებელს მხოლოდ ერთხელ მისცეს რეკომენდაციები და განუსაზღვროს ვადა დამატებითი დოკუმენტის/ინფორმაციის ან/და კორექტირებული განაცხადის წარმოსადგენად, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს/ინფორმაციას ან კორექტირებულ განაცხადს, განაცხადი დარჩება განუხილველი, რის შესახებაც განმცხადებელს დამატებით არ ეცნობება.

3. კომისიის სამდივნოს მიერ კომისიას წარედგინება განაცხადი და კომისიის სამდივნოს შეფასება.

4. კომისია განაცხადს აფასებს ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმების მიხედვით და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) განაცხადის მოწონებისა და მეორე ეტაპზე განხილვის გაგრძელების შესახებ;

ბ) მეორე ეტაპზე განაცხადთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემისა და კორექტირებული განაცხადის წარმოდგენისათვის ვადის განსაზღვრის შესახებ;

გ) განაცხადის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

**მუხლი 9. განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის მეორე ეტაპზე შეფასება**

1. ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემოწმებას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო ამ წესის მე-7 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

2. კომისიის სამდივნოს მიერ განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის ამ წესის მე-5 და მე-7 მუხლებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების საფუძველზე, კომისია უფლებამოსილია, განმცხადებელს მხოლოდ ერთხელ მისცეს რეკომენდაციები და განუსაზღვროს ვადა დამატებითი დოკუმენტის/ინფორმაციის ან/და კორექტირებული

დოკუმენტაციის წარმოსადგენად. აღნიშნული ვადა შეიძლება იყოს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა.
3. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს/ინფორმაციას ან კორექტირებულ დოკუმენტაციას, ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია დარჩება განუხილველი, რის შესახებაც განმცხადებელს დამატებით არ ეცნობება.
4. კომისიის სამდივნოს მიერ, ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კომისიის სამდივნოს შეფასებასთან ერთად, წარედგინება კომისიას, რომელიც განაცხადს აფასებს ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) განაცხადის დაფინანსების შესახებ;
ბ) რეკომენდაციების გაცემისა და კორექტირებული ან/და დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენისათვის ვადის განსაზღვრის შესახებ;
გ) განაცხადის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;
დ) განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ოდენობისგან განსხვავებული ოდენობით განაცხადის დაფინანსების შესახებ.
5. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას წერილობითი თანხმობის და კორექტირებული ბიუჯეტის ფორმის წარმოდგენისთვის. განმცხადებლის მიერ უარის თქმის ან კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში თანხმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.
6. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული თანხა არ არის საკმარისი დადებითად შეფასებული ყველა განაცხადის დაფინანსებისთვის, განაცხადების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, კომისია ხელმძღვანელობს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის და ინკლუზიურობის პრინციპებით.
7. განაცხადების ნუსხა, რომელთა დაფინანსებაზე კომისიამ მიიღო დადებითი/უარყოფითი გადაწყვეტილება, კომისიის სხდომის ოქმთან ერთად, წარედგინება სააგენტოს გენერალურ დირექტორს, რომელიც გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

**მუხლი 10. კომისიის მუშაობის წესი**
1. კომისიის სხდომაზე მოწვეულ უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.
2. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
3. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია განსხვავებული მოსაზრების არსებობის შემთხვევაში, დაწეროს განსხვავებული მოსაზრება და წარუდგინოს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს. კომისიის წევრის განსხვავებული მოსაზრება დაერთვის კომისიის სხდომის ოქმს.

5. კომისიის თითოეული გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომის ოქმის ფორმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

**მუხლი 11. კომისიის სამდივნო და მდივანი**

1. ამ წესით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისა და კომისიის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით იქმნება კომისიის სამდივნო.
2. კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს:
ა) განაცხადების ამ წესის მე-5 და მე-7 მუხლების შესაბამისად შესწავლასა და კომისიისთვის განსახილველად მომზადებას;
ბ) კომისიის წევრებისათვის შესაბამისი მასალებისა და ინფორმაციის დროულად და სრულად მიწოდებას;
გ) კომისიის მუშაობის დღის წესრიგის პროექტის მომზადებას;
დ) კომისიის სხდომის ორგანიზებას და კომისიის წევრთა ინფორმირებას განსახილველად მომზადებული საკითხების თაობაზე;
ე) კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას;
ვ) კომისიის სხდომის ოქმის წარდგენას სააგენტოს გენერალური დირექტორისთვის;
ზ) კომისიის თავმჯდომარის დავალებების შესრულებას.
3. კომისიის სამდივნოს საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის მდივანი. კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში კომისიის მდივნის ფუნქციას ასრულებს კომისიის სხდომაზე არჩეული პირი.

**მუხლი 12. ინფორმაციის საჯაროობა**

1. განაცხადის სააგენტოში წარმოდგენის ვადებისა და წესის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება სააგენტოს სოციალურ არხებზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და შესაბამის დაინტერესებულ პირებთან სააგენტო გამართავს საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებს.

**მუხლი 13. განმცხადებელთან ხელშეკრულების გაფორმება**

1. განაცხადის დაფინანსებასთან დაკავშირებით სააგენტოს გენერალური დირექტორის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განმცხადებელთან ფორმდება დაფინანსების შესახებ ხელშეკრულება:
ა) სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული განმცხადებლის შემთხვევაში - ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულის გარდა სხვა სახის იურიდიული პირის შემთხვევაში - ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერაზე განმცხადებლის მიერ უარის თქმა წარმოადგენს დაფინანსების გაცემაზე უარის თქმის საფუძველს.

**მუხლი 14. პროექტის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა განაცხადის დაფინანსების შემდგომ**

1. შესყიდვის ეტაპზე დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, შესაძენი ერთეულების დასახელებისა და რაოდენობის ცვლილების გარეშე, განმცხადებელი უფლებამოსილია

მოქმედ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გარეშე უზრუნველყოს ერთეულის ღირებულებებს შორის ცვლილება/ცვლილებები, თუ აღნიშნული ჯამურად არ აღემატება დაფინანსებული პროექტის ბიუჯეტით შესაძენი მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და პროექტის განსახორციელებლად საჭირო სხვა რესურსების შესყიდვისათვის გამოყოფილი დაფინანსების მოცულობის 20%-ს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულისგან განსხვავებულ შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია დაფინანსების ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილების ასახვისათვის მიმართოს სააგენტოს:
ა) საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ეტაპის დასრულებისთანავე;
ბ) ცვლილების გამომწვევი გარემოების წარმოშობისთანავე, შესაბამისი ვალდებულების აღებამდე და ხარჯების გაწევამდე.
3. დაუშვებელია პროექტის ბიუჯეტში იმგვარი ცვლილების განხორციელება, რომელიც იწვევს პროექტის ჯამური ბიუჯეტის გაზრდას, თანხების ხარჯვის მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების ცვლილებას (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), ასევე, ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ხარჯვის მიზნის ცვლილებას ან/და შესასყიდი საქონლის/მომსახურების ახალი პოზიციების დამატებას.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მომართვას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კომისია იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება უკავშირდება ბიუჯეტით გათვალისწინებული შესასყიდი საქონლისა ან/და მომსახურების რაოდენობების შემცირების გათვალისწინებით წარმოქმნილი ეკონომიის მიმართვას ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა შესასყიდი საქონლის ან/და მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას შესყიდვის ეტაპზე დამდგარი შედეგის გათვალისწინებით.
5. კომისია ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მომართვას განიხილავს ამ წესის მე-9 მუხლის შესაბამისად და იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის სრულად/ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულის გარდა სხვა შემთხვევაში, ამ მუხლით გათვალისწინებულ მომართვას განიხილავს სააგენტოს შესაბამისი თანამშრომელი/გუნდი.
7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით გაწეული ხარჯი წარმოადგენს არამიზნობრივ ხარჯს და ექვემდებარება სააგენტოსთვის დაბრუნებას.

**მუხლი 15. განმცხადებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება**
1. განმცხადებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, განმცხადებელი ვალდებულია, პროექტის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში სააგენტოში წარმოადგინოს:
ა) პროგრამული ანგარიში ამ ბრძანების დანართი N5-ით გათვალისწინებული ფორმით;
ბ) ფინანსური ანგარიში ამ ბრძანების დანართი N6-ით გათვალისწინებული ფორმით;
გ) ხარჯვის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაცია, მათ შორის, ხელშეკრულება (შესყიდვის, შრომითი), მიღება-ჩაბარების აქტი (საქონლის, მომსახურების), სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშფაქტურა (საქონლის, მომსახურების), გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტი (საგადასახადო მოთხოვნა) და სხვა ხარჯის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტები. ხელშეკრულებაში (შესყიდვის, შრომითი და სხვა ტიპის), მიღება-ჩაბარების აქტში (საქონლის, მომსახურების) და შრომის ანაზღაურების გაცემის უწყისში დაფინანსების წყაროდ მითითებული უნდა იყოს ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო და შესაბამისი პროგრამის (პროგრამული კოდი 32 03 02 02) დასახელება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროგრამულ ანგარიშს განიხილავენ სააგენტოს ინკლუზიური განვითარების, კვლევისა და სტუდენტთა მხარდაჭერის გუნდის შესაბამისი თანამშრომლები, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს განიხილავს საბუღალტრო აღრიცხვის კოორდინატორი, მისი არყოფნის შემთხვევაში - სააგენტოს მთავარი ბუღალტერი.
3. განმცხადებლისმიერ ნაკისრი ვალდებულების/ვალდებულებების შესრულება დასტურდება სააგენტოსა და განმცხადებელს თითოეულ წევრს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ფორმდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების განხილვის საფუძველზე.
4. სააგენტოს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე პროგრამული შესაბამისობის ნაწილში უფლებამოსილია სააგენტოს ინკლუზიური განვითარების, კვლევისა და სტუდენტთა მხარდაჭერის გუნდის ლიდერი, მისი არყოფნის შემთხვევაში - არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების დანერგვის კოორდინატორი. სააგენტოს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე ფინანსური შესაბამისობის ნაწილში უფლებამოსილია სააგენტოს მთავარი ბუღალტერი, მის არყოფნის შემთხვევაში - სააგენტოს ბუღალტრული აღრიცხვის კოორდინატორი.
5. განმცხადებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში დაფინანსების აუთვისებელი ნაწილი ან/და ხარჯების არამიზნობრივად გაწევის შემთხვევაში, არამიზნობრივად გახარჯული თანხა, დააბრუნოს სააგენტოს ანგარიშზე.
6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების სრულად ან ნაწილობრივ წარმოუდგენლობა არის განმცხადებლისმიერ დაფინანსების მიღების მიზნით სააგენტოში წარდგენილი სხვა განაცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი.